



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### აბუსერისძე ტბელი

აბუსერისძე ტბელი (დაახლ. 1190-1240), ქართველი მწერალი და ასტრონომი. ხიხათა (აჭარაში) პატრონის იოანეს შვილი.

ავტორი რელიგ.-ისტ. თხზულებისა „სასწაულნი წმიდისა... გიორგისნი და ანდერძნი... მოქუმელისაჲ“ და ვრცელი ქრონოლოგიურ-ასტრონ. ტრაქტატისა „ქორონიკონი სრული მისითა საუნყებელითა“. მასვე უნდა ეკუთვნოდეს „გალობანი სამთა იოანეთა“. რელიგ.-ისტ. თხზულება აღწერს აჭარელი გლეხის, ხელობით კალატომის, ბოლოკ-ბასილის სამშენებლო საქმიანობას შუარტყალში; შეიცავს აბუსერისძეთა საგვარეულო მათიანეს, აგრეთვე იმდროინდელი ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებების მნიშვნელოვან ცნობებს, მდიდარია კონკრ. ისტ. ხასიათის მონაცემებითაც. ქრონოლოგიურ-ასტრონ. ტრაქტატი ვრცელი საკალენდრო ცნობარია, რ-შიც განხილულია წელთაღრიცხვის სხვადასხვა სისტემის ღირსება-ნაკლოვანებანი და მოცემულია საეკლ. დღესასწაულთა და მთვარის ამოსვლა-ჩასვლის მზა ცხრილები.

*თხზ.*: ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მათიანე. 1233 წ. ტექსტი, ლ. მუსხელიშვილის გამოც., თბ., 1941; ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა, ი. სიხარულიძის გამოც., ბათ., 1981.

*ლიტ.*: ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ი., ტბელ აბუსერიძე - XIII ს. ქართველი მწერალი, თბ., 1963; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი ვ., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წგ. 1 - ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1977 (თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ.8).

**მ. ლორთქიფანიძე**

---